გახსოვდეთ! ბიუჯეტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია. ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში მოგაწოდოთ თქვენთვის საინტერესო და სასურველი ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მოგცემთ, გააკონტროლოთ, თუ რამდენად სწორად და მიზნობრივად იხარჯება ბიუჯეტის სახსრები.

გახსოვდეთ! თქვენ უფლება გაქვთ:

- დაესწროთ ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო განხილვას;
- დააფიქსიროთ და წარადგინოთ საკუთარი მოსაზრება ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით;
- მოითხოვოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გათვლისიწინება ბიუჯეტში;
- იცოდეთ თუ სად და რაში იხარჯება თქვენი ფული!

გახსოვდეთ! საჯარო განხილვა არის თქვენი ბერკეტი, რომლის საშულებითაც შეგიძლიათ ზემოქმედება მოახდინოთ ადგილობრივ ხელისუფლებაზე, თქვენთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ბიუჯეტი გათვალისწინებული თანხები უნდა იხარჯებოდეს თქვენივე ინტერესებს!



აღნიშნული საბიუჯეტო კალენდარის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა პროექტ „მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია, უზრუნველყოს იმერეთის მხარის ბაღდათის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სისტემატური ანგარიშგებისა და უწყვეტი დიალოგის მეშვეობით.

პროექტი დაფინანსებულია "ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის" პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება World Vision საქართველოს, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა (საეა) და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: წერეთლის ქუჩა 111; 4600; ქუთაისი
ტელ: (0431) 24 24 02,
E-mail: ldageorgia@aldaintranet.org
www.facebook.com/LDAGeorgia
www.ldageorgia.ge/ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.”

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

LDA GEORGIA

ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

GASW
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

World Vision GEORGIA

საბიუჯეტო კალენდარი



ძლიერი თვითმმართველობა აღდგენითობრივი დემოკრატიისთვის!

1 მარტიდან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **პრიორიტეტების დოკუმენტის** მომზადების მიზნით მერია იწყებს მუშაობას და განსაზღვრავს პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და ასევე წარდგენის ვადებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის **ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს.**

არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მერიას და საკრებულოს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან **მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.**

არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, მერია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **პრიორიტეტების დოკუმენტს** წარუდგენს საკრებულოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **ბიუჯეტის პროექტს** თანდართულ მასალებთან ერთად მერი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს საკრებულოს

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა **გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის;**
მნიშვნელოვანია! მოქალაქეების ჩართულობა*, მათი ინტერესის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, სწორედ ამ ეტაპზეა ყველაზე ეფექტური.

ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით **შენიშვნების** არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე არა უგვიანეს 25 ნოემბრისა, პროექტს შენიშვნებით განსახილველად უბრუნებს მერს.

ბიუჯეტის პროექტის **იმავე ან შესწორებულ ვარიანტს,** არა უგვიანეს 10 დეკემბრისა, მერი წარუდგენს (უბრუნებს) საკრებულოს თავმჯდომარეს. საკრებულოს მიერ იწყება ბიუჯეტის მიღების პროცედურა

რა არის ბიუჯეტი?

ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს, დაწესებულების, საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების გაწერილ გეგმას დროის გარკვეული მონაკვეთისათვის. იგი სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.
კანონი განმარტავს, რომ ბიუჯეტი არის: საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა. **არსებობს სამი სახის ბიუჯეტი:** სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი?

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახადებისა და ნაშთის ცვლილებების ერთობლიობა.

რა არის საბიუჯეტო პროცესი?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

4. ვინ არიან პასუხისმგებელი ორგანოები

პროექტის ბიუჯეტის მომზადებისათვის, შესრულებისა და ანგარიშვალდებულებისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო/მერია, ხოლო ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცებაზე - წარმომადგენლობითი ორგანო/საკრებულო.
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის კოორდინაციას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო.

რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების დოკუმენტი?

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

რა წესით ხდება ცვლილებების შეტანა ბიუჯეტის პროექტში?

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

რა წესით ხდება ცვლილებების შეტანა ბიუჯეტში?

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმოამდგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ მერის წარდგინებით.
ბიუჯეტის პროექტის დასრულებიდან არა უგვიანეს 20 დღისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენ

** საჯარო განხილვის დროს თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ მოსაზრებები ბიუჯეტთან დაკავშირებით და დაასყენოთ ის პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად გაწუხებთ.*